

რაგიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის  
7.05. 2003 წლის N 2147 -ის დადგენილებით

## შეთანხმება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის  
შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტს  
შორის

ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების,  
პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში  
თანამშრომლობის შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი, შემდგომში  
დეპარტამენტად წოდებული და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შემდგომში  
სამინისტროდ წოდებული და ერთიანად შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

სურთ რა მოახდინონ საქართველოსა და აშშ-ს შორის დადებული „მასობრივი  
განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა  
და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ“ შეთანხმების  
იმპლემენტაცია (შემდგომში „გავრცელების თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებად  
წოდებული), რომელიც ხელმოწერილი იქნა 1997 წლის 17 ივლისს, ძალაში შევიდა  
იმავე წლის 10 ნოემბერს და მისი მოქმედების ვადა გაგრძელებულ იქნა 2002 წლს 20  
მაისს, რამდენადაც იგი მჭიდროდ უკავშირდება ბიოლოგიური იარაღის განვითარების  
ხელშეწყობის პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებას.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

1. იმისათვის, რომ საქართველოს აღმოეჩინოს დახმარება მის შესაბამის  
ობიექტებზე დაცული იმ ტექნოლოგიების, პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების  
თავიდან აცილებაში, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ ბიოლოგიური იარაღის  
განვითარებას, დეპარტამენტს მოცემული შეთანხმების საფუძველზე შეუძლია  
უსასყიდლოდ გაუწიოს დახმარება სამინისტროს.

2. სამინისტრო გამოიყენებს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად  
მოწოდებულ ყველა მატერიალურ საშუალებას (აღჭურვილობის, დანადგარებისა და  
შესაბამისი მასალების ჩათვლით). წვრთნასა და მომსახურებას მხოლოდ  
საქართველოში არსებულ შესაბამის ობიექტებზე დაცული იმ ტექნოლოგიების,  
პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნებისათვის,  
რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ ბიოლოგიური იარაღის განვითარებას.

3. წინამდებარე შეთანხმება და ყოველგვარი საქმიანობა განხორციელებული ამ  
შეთანხმების შესაბამისად ექვემდებარება „გავრცელების თავიდან აცილების შესახებ“  
შეთანხმების დებულებებს. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიქმნება რაიმე  
წინააღმდეგობა წინამდებარე და „გავრცელების თავიდან აცილების შესახებ“  
შეთანხმებებს შორის, უპირატესობა მიენიჭება „გავრცელების თავიდან აცილების  
შესახებ“ შეთანხმების დებულებებს.

## მუხლი 2

1. მეორე მხარისათვის გაგზავნილი შესაბამისი წერილობითი შეგყობინების შემდგომ, მოცემული შეთანხმების თითოეულ მხარეს გააჩნია უფლება ამ შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილება გადასცეს შესაბამისი ქვეყნის მთავრობის სხვა უწყებებს, დეპარტამენტებსა თუ ქვედანაყოფებს.

2. მეორე მხარისათვის გაგზავნილი შესაბამისი წერილობითი შეგყობინების შემდგომ, მოცემული შეთანხმების თითოეულ მხარეს გააჩნია უფლება, დანიშნოს ტექნიკური მეკავშირე წარმომადგენლობები, რომლებიც იმუშავენ წინამდებარე შეთანხმებაში გათვალისწინებული მაგერიალური საშუალებების მიწოდებასთან. წვრთნების ჩატარებასა და მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## მუხლი 3

1. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილი მაგერიალური საშუალებების, წვრთნებისა და მომსახურების, აგრეთვე ამ შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების, მათ შორის მასალებისა და პერსონალის გრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების მთლიანი ღირებულება არ აღემატება ხუთ (5) მილიონ აშშ დოლარს.

2. წინამდებარე შეთანხმების პირობების შესაბამისად, დეპარტამენტს შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს სამინისტროს იმ ტექნოლოგიების, პათოგენებისა და ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყონ ბიოლოგიური იარაღის განვითარებას. ამგვარმა დახმარებამ შესაძლოა მოიცვას ბიოლოგიური მასალების დაცვის, აღრიცხვიანობისა და კონტროლის გაუმჯობესების სფეროები, რათა შემცირდეს საქართველოს ლაბორატორიებში არსებული საშიში პათოგენების მოპარვის ან მათი არაშესაბამისად გამოყენების საშიშროება. მოცემული სფეროები არ წარმოადგენენ დახმარების გაწევისათვის ადეკვატური სფეროების ამომწურავ ჩამონათვალს.

3. წინამდებარე შეთანხმების პირობების შესაბამისად, მხარეებს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დეპარტამენტს თავისი შეხედულების მიხედვით შეუძლია სხვა სახის დახმარებაც გაუწიოს სამინისტროს.

## მუხლი 4

1. სამინისტრო ყოველწლიურად შეუწყობს ხელს დეპარტამენტს წინასწარ შეთანხმებული დახმარების აღმოჩენაში.

2. სამინისტრო კოორდინირებას გაუწევს საქართველოს შესაბამის უწყებებსა და ორგანიზაციებს, რათა მოცემული შეთანხმების საფუძველზე საქართველოსათვის მიწოდებულ მაგერიალურ საშუალებებთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარება განხორციელდეს პრიორიტეტული წესით და მოხდეს საქართველოს ტერიტორიაზე დანიშნულების ადგილზე მათი უსწრაფესად მიგანა. სამინისტრო კოორდინირებას გაუწევს საქართველოს შესაბამის უწყებებსა და ორგანიზაციებს, რათა სათანადო ზომები იქნას მიღებული დეპარტამენტის პერსონალის კონტრაქტით მომუშავე პირებისა და ტექნიკა-აღჭურვილობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იმ ობიექტების ტერიტორიაზე, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ საქმიანობას.

3. სამინისტრო ხელს შეუწყობს საქართველოს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული და მიღებული ყველა

მაგერიალური საშუალებების შემოწმების განხორციელებას და ამგვარი შემოწმების შედეგების მიღებიდან ათი დღის განმავლობაში დეპარტამენტს დაუდასტურებს, რომ გემოსხენებული მაგერიალური საშუალებები მისაღებია ქართული მხარისათვის. მაგერიალური საშუალებები, რომლებიც არ შეესაბამება წინასწარ შეთანხმებულ ტექნიკურ მოთხოვნებს დეპარტამენტის ხარჯზე თბილისში აშშ-ს საელჩოს მეშვეობით დაბრუნებულ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე სამაგიერო მაგერიალური საშუალებების მიღებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში.

#### მუხლი 5

„გავრცელების თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებით მინიჭებული აუდიტისა და შემოწმების უფლებასთან ერთად, დეპარტამენტის წარმომადგენლებს ეძლევათ უფლება აწარმოონ მოცემული შეთანხმებით გათვალისწინებული კონტრაქტების პირობების შესრულებისა და საქმიანობის მიმდინარეობის მონიტორინგი საქართველოში განლაგებული ობიექტების ტერიტორიაზე.

#### მუხლი 6

საჭიროებისდა მიხედვით, მხარებს შეუძლიათ განახორციელონ საიმპლემენტაციო ღონისძიებები ან დადონ საიმპლემენტაციო შეთანხმებები, რათა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების დებულებები. წინამდებარე შეთანხმებასა და ნებისმიერ ასეთ ღონისძიებას ან შეთანხმებას შორის ყოველი შეუსაბამისობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს.

#### მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა მხარეთა მიერ დიპლომატიური ნოტების გაცვლის დღიდან, რომელიც დაადასტურებს მოცემული შეთანხმების ძალაში შესასვლელად ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულებას და იგი ძალაში დარჩება „გავრცელების თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმების მოქმედების განმავლობაში. წინამდებარე შეთანხმებაში შეიძლება შეგანილ იქნეს ცვლილებები ან მისი მოქმედების ვადა გაგრძელდეს მხარეებს შორის დადებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და მისი მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების მიწოდების მეშვეობით, როდემაც უნდა გაიგზავნოს შეთანხმების მოქმედების შეწყვეტამდე 90 დღით ადრე.

რის დასტურადაც, საკუთარი მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილნი ქვემოთ ხელის მომწერნი ხელს აწერენ ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. ვაშინგტონში 2002 წლის 30 დეკემბერს, ორ ეგვემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტიკურია.

საქართველოს სახელით

აშშ-ს სახელით